პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГРУЗИНСКАЯ ССР

СССР

СТРАНЫ СОВЕТОВ

ВСЕХ НАЦИЙ, ОБЪЕДИНЯЙТЕСЬ!

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 238 (19979) პარასკევი, 16 ოქტომბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები ▼▼ საბჭოთა შუბზეკეთი

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დღევანდელი უზბეკეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი ასი კაციდან მხოლოდ ორმა იცოდა წერა-კითხვა, პრაქტიკულად არ არსებობდა მრეწველობა, უაღრესად სუსტი იყო სოფლის მეურნეობა, ყველგან უკიდურესი სიდუხჭირე და სიღატაკე სუფევდა.

ამჟამად უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დიდად განვითარებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების მქონე ქვეყანაა. მაგრამ სწორედ ამ რადიკალური სასიკეთო გარდაქმნებისა და წარმატებების მოპოვების კვალობაზე რესპუბლიკაში თანდათან მკვიდრდებოდა მიღწეული თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების ატმოსფერო, სხვადასხვა სახის ნეგატიური მოვლენები, რასაც მკაცრი შეფასება მიეცა სკკპ XXVII ყრილობაზე.

ამჟამად რესპუბლიკა გარდაქმნის სულისკვეთებით ცხოვრობს და შრომობს. **ამაზე მოგითხრობთ დღევანდელ ნომერში რუბრიკით „სსრ კავშირი: ძმობის მისამართები“** გამოქვეყნებული მასალები.

შეხვედრა კრემლში

14 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობების დელეგაციათა ხელმძღვანელებსა და მომმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომის მუშაობაში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ათანასოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ფილიპოვი; გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. იაროვინსკი; ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვო ვან კიეტი, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვუ ონანი; კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. რ. როდრიგესი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. სოტო; მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. სოდნომი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ.

. ტუმურ-ოჩირი; პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. მესნერი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვოზნიაკი; რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკმხსკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დასკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკმხსკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი კ. დასკალესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკმხსკომის წევრი, ეროვნული ეკონომიკურ მეურნეობათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ტალეა; ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. იაკეში.

საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მონაწილე მომმე ქვეყნების დელეგაციათა სახელით გამოვიდა ზ. მესნერი. იგი შეეხო სხდომის მუშაობასა და ძირითად შედეგებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. სხდომა გახდა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი 1986 წლის ნოემბერში მოსკოვში სოციალისტური ქვეყნების მომმე პარტიათა ხელმძღვანელების სამეშაო შეხვედრაზე მიღწეულ იმ მორიგებათა რეალიზაციის გზაზე, რომლებიც ეხება ეკონომიკური თანამშრომლობის მექანიზმის გარდაქმნას. სესიამ მხარი დაუჭირა იმას, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ძალისხმევა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და გაფართოებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მუშაობა ასახავს სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს.

განვლილი წლები მოწმობს: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო კარგად მოემსახურა როგორც თითოეული ქვეყნის ინტერესებს, ისე სოციალიზმის საერთო ინტერესებსაც, მაგრამ ახლა, როცა მომმე ქვეყნები გადიან ეკონომიკის განვითარების ახალ მიჯნებზე, საჭიროა მისი სერიოზული გარდაქმნა. მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის მართვის უფრო ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძირითადი სამეურნეო რგოლის დამოუკიდებლობის გაზრდას. ეს სულაც არ ნიშნავს დაგეგმვის უპირატესობათა გამოყენებაზე უარის თქმას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საწარმოებსა და სამეცნიერო კვლევითს დაწესებულებებს შორის პირდაპირი საწარმოო კავშირურთიერთობის განვითარებასთან თანამშრომლობის გეგმების შეთანხმების უფრო ორგანული შეხამება.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, არის გადაწყვეტილება შრომის სოციალისტური დანაწილების კოლექტიური კონცეფციის შემუშავების შესახებ. თანამშრომლობის, სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გრძელვადიანი ორიენტირების განსაზღვრა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ თითოეულ ქვეყანას საშუალებას მისცემს უფრო სრულად გამოავლინოს შინაგანი შესაძლებლობანი, აჩვენოს თავისი სახე, დაიჩქაროს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და ხელი შეუწყოს სოციალისტური თანამეგობრობის საერთო ამოცანების გადაწყვეტას.

ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობის გარდაქმნის გზაზე არის და კვლავაც იქნება ბევრი სიძნელე, მაგრამ ერთად, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთებით, სოციალისტურად მოქმედების შედეგად ჩვენი ქვეყნები მით უფრ ადვილად დაძლევენ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას სოციალისტური ქვეყნებთან თანამშრომლობა მიაჩნია თავისი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებად.

მ. ს. გორბაჩოვი შეეხო აგრეთვე გარდაქმნის ახალი ეტაპის ზოგიერთ საკითხს, რომელიც საბჭოთა ქვეყანას დაუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივნისის პლენუმების შემდეგ, ილაპარაკა პარტიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, რომელიც გარდაქმნის მამომძრავებელი ძალა და გარანტია. ის, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, თქვა მან, სულაც არ მიგვაჩნია რაღაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებად. ყველა მომმე პარტია და ქვეყანა ახლა ძიების პროცესშია, და ამ ძიების დროს გროვდება კოლექტიური გამოცდილება.

შეეხო რა ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არის რეალური შანსი დაიდოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება ორი კლასის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამით დასაბამი მიეცემა განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებებს, რისთვისაც იღვწიან სოციალისტური ქვეყნები. უნდა გაიზარდოს ერთობლივი ძალისხმევა, რათა საერთაშორისო ურთიერთობაში გაიმარჯვოს ახალმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, რეალობად იქცეს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის იდეა.

დასასრულს შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ის ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით.

შეხვედრის მონაწილეთა სახელით კ. გოლსმა მადლობა გადაუხადა მ. ს. გორბაჩოვს საუბრისათვის და საბჭოთა ხალხს უსურვა დიდი წარმატებანი გარდაქმნის განხორციელებაში.

შეხვედრამ გულითადობის, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).



შეხვედრის დროს. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

გაუმარჯოს სსრ კავშირის მტკიცე, ძმური მეგობრობით გაერთიანებული ხალხების დიდ მრავალეროვან კავშირს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ანგარიში სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელობის სტილის გარდაქმნის შესახებ. აღინიშნა, რომ ქალაქის ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაში მიღწეულია გარკვეული ძვრები. ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია საწარმოო და სოციალური სფეროების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით გარდაქმნის პროგრამის რეალიზაციის გზაზე. საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს, საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცათ პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ძალისხმევა მოახმარონ წარმოების ეფექტიანობის ზრდას, მუშაობის პროგრესული მეთოდების დანერგვის საფუძველზე, ფართოდ გამოიყენონ ბინების, სხვა სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის, კომუნალური, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დამატებითი რეზერვები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ დემოკრატიისა და საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოებას მომწიფებული პრობლემების გადაჭრაში.

შეეხო რა ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არის რეალური შანსი დაიდოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება ორი კლასის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამით დასაბამი მიეცემა განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებებს, რისთვისაც იღვწიან სოციალისტური ქვეყნები. უნდა გაიზარდოს ერთობლივი ძალისხმევა, რათა საერთაშორისო ურთიერთობაში გაიმარჯვოს ახალმა პოლიტიკურმა აზროვნებამ, რეალობად იქცეს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის იდეა.

დასასრულს შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს ის ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით.

შეხვედრის მონაწილეთა სახელით კ. გოლსმა მადლობა გადაუხადა მ. ს. გორბაჩოვს საუბრისათვის და საბჭოთა ხალხს უსურვა დიდი წარმატებანი გარდაქმნის განხორციელებაში.

შეხვედრამ გულითადობის, სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

მშენებლობას გარდაქმნა სჭირდება

წლის დამდეგიდან დარგში პოზიტიური ძვრები თითქმის არ მომხდარა, — ასეთი მკაცრი შეფასება მისცეს რესპუბლიკის სამშენებლო კომპლექსს მუშაობას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა. განიხილეს რა დარგის ცხრა თვის მუშაობის შედეგები, მათ ღონიშნეს: გადაუჭრელი პრობლემების ტვირთი, ის, რომ სამშენებლო უწყებების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ არის კომპეტენტური, არ სურს და უნარი არ შესწევს გარდაქმნას, არსებითად აფერხებს საქმეს, არ იძლევა მტკიცე გარდატეხის მიღწევის საშუალებას. შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა, მათი ინდუსტრიული ბაზის სისუსტე აბრკოლებს ეკონომიკის განვითარებას, აფერხებს უმნიშვნელოვანესი სოციალური საკითხების გადაჭრას, უწინარეს ყოვლისა — ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას. ახლა, ხუთწლედის მეორე წლის ბოლოს, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ძალღონე არ უნდა დავიშურით, რათა მშენებლობამ თავი დაიწიოს გარდვევას, აღინიშნა სხდომაზე.

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში შექმნილი მდგომარეობის, იმ გადაუდებელი ამოცანების შესახებ, რომლებიც ოპერატიულად და ამომწურავად უნდა გადაწყდეს, შეკრებილთ ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ნ. გლურჯიძემ.**

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

წლის დამდეგიდან, აღინიშნა სხდომაზე, ამოქმედდა თითქმის 900 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 115 მილიონით ანუ 11,4 პროცენტით ნაკლებია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ სახაგრომრეწვი (113 მილიონი მანეთი), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო (7,9 მილიონი მანეთი), მშენებლობის სამინისტრო (7,1 მილიონი მანეთი), გამსაჯიმი (3 მილიონი მანეთი), საავტომობილო გზების სამინისტრო (2,8 მილიონი მანეთი).

ექვსი სახალხო-სამეურნეო კომპლექსიდან — სათბობ-ენერგეტიკული, მეტალურგიული, მანქანათაშენებელი, ქიმიურ-სატყეო, აგროსამრეწველო და სამშენებლო კომპლექსებიდან — ძირითადი ფონდების ამოქმედების ცხრა თვის დავალება ვერც ერთმა ვერ შეასრულა. ამ მაჩვენებლის მიხედვით დავალება არ შესრულებულა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში...

ეს მონაცემები სერიოზული საგანგაშო სიგნალი უნდა გახდეს არა მარტო მშენებლებისათვის, არამედ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისთვისაც, რომლებიც ხშირად გარეშე მეთვალყურეთა როლს ასრულებენ. არათუ არ ხელმძღვანელობენ ადგილებზე დარგის საქმიანობას, საჭირო დახმარებასაც კი არ უწევენ მშენებლებს. თუ არა უმნიშვნელოვანესი სოციალური საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, სხვა რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჩოხატაურში კვარტალიდან კვარტალში გადაიქცა რაიონში ერთადერთი მშენებარე ობიექტის — საბავშვო ბაღის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. ადგილობრივმა ხელისუფლებმა, რომლებმაც მთლიანად მიანდეს საქმე მშენებლებს, არაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს პატარა ორსართულიანი ნაგებობა ამოეღოთ ხანგრძლივშენის სიიდან.

სხდომის მონაწილეთა განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია საბინაო მშენებლობაში შექმნილმა ვითარებამ. იანვარ-სექტემბერში ჩაბარებულია 758 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი — წლიური პროგრამის 57 პროცენტი. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მომდინარე წელს უკვე მზად ჰქონდათ ჯერ კიდევ გასული წლიდან გადმოსული 170 ათასკვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. არსებითად, დაიკარგა ესოდენ საჭირო ბინების მშენებლობისა და გადაცემის ტემპის დაჩქარების რეალური შესაძლებლობა.

ბინების ჩაბარებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთში, აჭარაში, სადაც წლიური პროგრამის შესრულებამ შეადგინა შესაბამისად 39 და 57 პროცენტი. საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება ჩაიფუშა ქალაქებში თბილისში, რუსთავში, გორში, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

საქაგრომშენის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ ცხრა თვეში საექსპლოატაციოდ ცდადასცა ბინების წლიური გეგმის მხოლოდ 27 პროცენტი, სამავშვო დაწესებულებების 40 და საკლუბო დაწესებულებების 20 პროცენტი.

მშენებლები ვერც მაღალხარისხოვან მუშაობას დაიკვეხნან. რესპუბლიკის დედაქალაქში კვლავ მოუზდათ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის „დაწუნება“, სრულიად უვარგისია რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს ახალი ნევროლოგიური ცენტრის ხარისხობრივი პარამეტრები. 80 ათასი მანეთი დაჯდა საქაგრომშენის № 1 ტრესტის მიერ შესრულებული უხარისხო სამუშაოები. პარადოქსულია ის ფაქტიც, რომ სამუშაოთა მოცულობა მცირდება, ხოლო მათი საზღაური გამუდმებით იზრდება...

დარგში შექმნილი ვითარების ანალიზი მოწმობს: მრავალი ნაკლისა და ხარვეზის მიზეზია გაუაზრებელი საკადრო პოლიტიკა. არსებითად, დღეს არ შეგვიძლია სერიოზული ლაპარაკი იმაზე, რომ მშენებლობაში გვყავს სტაბილური, კვალიფიციური შრომითი კოლექტივები. ასეთი მდგომარეობა კი ნაკლებად აწუხებთ ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს დაავალა განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი მშენებლობების, უწინარეს ყოვლისა საცხოვრებელი ბინების ფონდის ამოქმედების, ინფრასტრუქტურული ობიექტების, ბავშვთა დაწესებულებების, ადგილობრივ ინდუსტრიულ ბაზის ამოქმედ

თანამშრომლობის ახალი რეზერვები

მუშაობა დაამთავრა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომამ

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა მოწოდებულია აქტიურად უწყობდეს ხელს მომძე სახელმწიფოების ხალხთა და მთელი თანამეგობრობის ეკონომიკების ინტენსიფიკაციას, დიდი სოციალური პროგრამების შესრულებას მათი ინტერესებისათვის. ამას ისახავს მიზნად თანამშრომლობის მექანიზმის, მთელი ეკონომიკური ინტეგრაციის, საბჭოს საქმიანობის ოპტიმიზაციის ღონისძიებანი, რომლებიც განსაზღვრა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომაზე. სხდომა, რომელიც მთავრობების მეთაურთა დონეზე მიმდინარეობდა, 14 ოქტომბერს დამთავრდა მოსკოში.

მისმა მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს ეტაპობრივად განახორციელონ თანამშრომლობის მექანიზმის გარდაქმნა, ამასთან გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის მართვის ეროვნული სისტემები, ღონისძიებანი, რომლებსაც ახორციელებენ ქვეყნები მათი სრულყოფისათვის.

თანამშრომლობის შეთანხმებულ მიმართულებათა განსაზღვრის დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდება საერთაშორისო სოციალისტური შრომის დანაწილების 1991-2005 წლების კონცეფცია, რომელიც კოლექტიურად მუშავდება.

სხდომაზე მოიწონეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის არსებითი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ამასთან გაითვალისწინეს თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დამოუკიდებლობის, თანამოქმედების ინიციატივიანი ფორმების ზზარდი როლი. მათი აქტიური ჩაბმა უშუალო და მჭიდრო ურთიერთობაში ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამ ურთიერთდაკავშირებულ დონეთაგან ერთ-ერთია, სამთავრობათაშორისო და დარგთშორისო ურთიერთობასთან ერთად.

საბოლოო სხდომაზე ხელი მოაწერეს სესიის ოქმს, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის მრავალმხრივ შეთანხმებებს. მიღებულია სესიის სხდომის კომუნიკე, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

დადგენილია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მორიგი, 44-ე სხდომა 1988 წელს გაიმართოს პრაღაში.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ი. რიჟკოვმა.**

ჩვენი მუშაობა, თქვა მან, დამთავრდა. ვგრძებ, საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ მიღებული დადგენილება სძირკველს უყრის თანამშრომლობის ძირეულ გარდაქმნას იმ მიმართულებებით, რომლებიც ჩვენი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საარსებო მოთხოვნილებებს შეესაბამება. იგი შესაძლებლობას მოგვცემს შევუდგეთ ინტეგრაციის ისეთი ეკონომიკური მექანიზმის თანამიმდევრული ფორმირების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელიც თანამედროვე პერიოდის პრობლემებისა და პირობების ადეკვატური იქნება. ამრიგად, ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი მოსკოვის მომძე პარტიების ხელმძღვანელთა სამუშაო შეხვედრაზე დასახული გზით.

თანამშრომლობის ძირფესვიანი გარდაქმნის გადაუდებლობის საერთო გაგება, მისი უსწრაფესი განხორციელების მისწრაფება მოწმობს, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა ქვეყანას განზრახული აქვს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში.

საბჭოთა კავშირი ისწრაფვის თავისი წვლილი შემატოს ჩვენი თანამშრომლობის განახლებას, მისთვის დინამიზმის მინიჭებას, რათა ყოველნაირად შეუწყოს ხელი თანამეგობრობის ეკონომიკური პოტენციალის. განმტკიცებას, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას.

ნ. ი. რიჟკოვმა მადლობა უძღვნა დელეგაციათა ხელმძღვანელებსა და წევრებს, სესიის ყველა მონაწილეს გაწეულ მუშაობაში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ლ. შტროუგალმა.**

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მოსკოვის სხდომას ახასიათებდა თანამშრომლობის აქტუალურ პრობლემათა საქმიანი, ამხანაგური განხილვა. იგი მიმდინარეობდა ურთიერთგაგებისა და ძმური მეგობრობის სულისკვეთებით. (საკდესი).

მეგობრული შეხვედრები

14 ოქტომბერს გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომაზე ჩამოსული ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფის საკითხები, რომლებსაც მიაღწიეს მიმდინარე წლის აპრილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს.

ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა საგანგებოდ აღნიშნეს, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის მიმდინარე სხდომის გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების ინტენსიფიკაცია.

საუბარმა გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა.

* * *

იმავე დღეს ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს კარლოს რაფაელ როდრიგესს.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფას **მისი ეფექტიანობის ზრდის მიზნით.**

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრაციის მექანიზმის გარდაქმნას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, მის უფრო აქტიურ და ფართო გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის გზაზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმატებული წინსვლის ინტერესებისათვის.

* * *

ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დ. სოდნომს. სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის შესახებ, მ. ს. გორბაჩოვისა და ჟ. ბატმუნხის შეხვედრებისა და საუბრების დროს მიღწეულ მორიგებებზე განხორციელებისათვის მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეფექტიანად უნდა გამოიყენონ არსებული რეზერვები საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, მისი ეფექტიანობის ზრდისათვის. გამოთქვეს რა კმაყოფილება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 43-ე (რიგგარეშე) სხდომის შედეგების გამო, ნ. ი. რიჟკოვმა და დ. სოდნომმა მხარი დაუჭირეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშემედების ყოველმხრივ გაფართოებას.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

(საკდესი).

მილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

15 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილავლიმ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმწყობის ჩინეთის ასოციაციის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ასოციაციის თავმჯდომარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენელთა კრებასთან არსებული სამდივნო საკონსულტაციო პოლიტიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, პეკინის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის პროფესორი ბი ძილუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის საბჭოთა და აღმოსავლეთევროპული კვლევის ინსტიტუტის პროფესორი სინ შუგანი და სხვები.

საუბრისას აღინიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაცნობა, პირადი კონტაქტები ხელს უწყობს ერთმანეთთან დაახლოებას, სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა შორის ნდობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის დამყარებას. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ კურსს — განავითარონ მეგობრობა და კეთილმეზობლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ორივე ქვეყნის ხალხების, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

— საბჭოთა ადამიანებთან, კერძოდ, საქართველოს მშრომელებთან შეხვედრებმა და საუბრებმა, — თქვა ბი ძილუნმა, — დაარწმუნა, რომ ეს ეფექტიანობა ზრდის მიზნით.

ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრაციის მექანიზმის გარდაქმნას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, მის უფრო აქტიურ და ფართო გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის გზაზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმატებული წინსვლის ინტერესებისათვის.

ნ. ი. რიჟკოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს კარლოს რაფაელ როდრიგესს.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-კუბის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფას

საუბრები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ მიიღო თურქეთის სპორტის მინისტრი ქ. ქამილოღლუ, რომელიც იცნობა ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში რესპუბლიკის მიერ შეძენილ გამოცდილებას.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და თურქეთის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოების შესახებ ბოლო დროს მიღებული დოკუმენტები ემსახურება ორი მეზობელი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას, ხელს უწყობს ქვეყნად მშვიდობის საქმეს.

ქ. ქამილოღლუმ აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტსმენებს დამსახურებული პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მთელ მსოფლიოში, და თქვა, რომ იმედს ამყარებს თურქეთისა და საქართველოს სპორტული კონტაქტების შემდგომ განვითარებაზე, საბჭოთა და, კერძოდ, ქართველ სპეციალისტთა დახმარებაზე, რაც ამაღლებს თურქეთში სპორტულ მიღწევათა დონეს. ჩვენ გვინდა გადავიღოთ ჭიდაობის, ტანვარჯიშის, ძძლეოსნობის, კალათბურთის, სროლის დარგში თქვენი მეგზურნელების მდიდარი გამოცდილება.

გამოითქვა წინადადება, რომ საბჭოთა და თურქ სპორტსმენთათვის შეიქმნას ერთობლივი სპორტული ბანაკები.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. შ. ენდელაძე, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

* * *

თურქეთის სპორტის მინისტრი ეწვია საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტს, დაათვალიერა თბილისის სპორტული ბაზები, იყო საგარეჯოს რაიონში, სადაც გაეცნო ეროვნულ სახეობათა სპორტის განვითარებას.

* * *

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ მიიღო საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათშორისო კომისიის მონაწილეები, რომლებიც ეცნობიან რესპუბლიკის ცხოვრებას.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის სულ უფრო მზარდ კონტაქტებს, რომელთა ახალი დადასტურებაა ჩვენს ქვეყანაში ნორვეგიის დელეგაციის ახლანდელი ვიზიტი.

საუბარში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. ნ. ბურმისტროვი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ს. ყორდანია, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ო. ი. ლოლაშვილი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი;

ნორვეგიის მხრივ — ნორვეგიის ვაჭრობისა და ნაოსნობის მინისტრი კ. მოსბაკი, ნორვეგიის ელჩი სსრ კავშირში უ. ბუჰერიუჰანესენი, სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის სამთავრობათაშორისო კომისიის მონაწილეები ეწვივნენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონს“, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. (საქინფორმი).

საუბრები სსრ მინისტრთა საბჭოში

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ მიიღო თურქეთის სპორტის მინისტრი ქ. ქამილოღლუ, რომელიც იცნობა ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში რესპუბლიკის მიერ შეძენილ გამოცდილებას.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და თურქეთის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის გაფართოების შესახებ ბოლო დროს მიღებული დოკუმენტები ემსახურება ორი მეზობელი ქვეყნის ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას, ხელს უწყობს ქვეყნად მშვიდობის საქმეს.

ქ. ქამილოღლუმ აღნიშნა, რომ საბჭოთა სპორტსმენებს დამსახურებული პოპულარობა აქვთ მოხვეჭილი მთელ მსოფლიოში, და თქვა, რომ იმედს ამყარებს თურქეთისა და საქართველოს სპორტული კონტაქტების შემდგომ განვითარებაზე, საბჭოთა და, კერძოდ, ქართველ სპეციალისტთა დახმარებაზე, რაც ამაღლებს თურქეთში სპორტულ მიღწევათა დონეს. ჩვენ გვინდა გადავიღოთ ჭიდაობის, ტანვარჯიშის, ძძლეოსნობის, კალათბურთის, სროლის დარგში თქვენი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ედუარდ ივანეს ძე **კანდელაკი** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის დირექტორად.

* * *

ამხ. ედუარდ ივანეს ძე კანდელაკი დაიბადა 1936 წელს, ქართველია, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

ქრონიკა

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატია.

1960-1962 წლებში მუშაობდა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის, შემდეგ — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად. სამი წლის მანძილზე მუშაობდა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაზი“. 1965-1969 წლებში იგი იყო რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგე, განყოფილების გამგე, შემდეგ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ედუარდ ივანეს ძე **კანდელაკი** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს — საქინფორმის დირექტორად.

* * *

ამხ. ედუარდ ივანეს ძე კანდელაკი დაიბადა 1936 წელს, ქართველია, აქვს უმაღლესი განათლება — დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი □ მოვლენა □ კომენტარი

აფხაზეთის დედაქალაქში დამთავრდა სტოქასტიკური (ალბათობითი) მოდელების მდგრადობის პრობლემებისადმი მიძღვნილი

საერთაშორისო სემინარი

მონაწილეობდნენ მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტი მათემატიკის დარგის წამყვანი სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები.

▼ ▼

ელექტროსადგურებისა და სასტუმროების, თეატრებისა და სპორტული კომპლექსების, ფირმებისა და მილსადენების დაპროექტება-შენებლობასა და სხვა სამსახურს სთავაზობს უცხოელ შემკვეთებს პოლონეთის საგარეო-სავაჭრო საწარმო

„ბუდიმექსი“

საბჭოთა კავშირთან ფირმის შემდგომი თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივებს განიხილავდნენ თბილისში გახსნილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის სიმპოზიუმის მონაწილენი. სიმპოზიუმის თემა იყო. „ბუდიმექსი — საბჭოთა საწარმოთა სამშენებლო პარტნიორია“.

ფირმა 23 ქვეყანაში ასრულებს სამშენებლო სამუშაოებს. ჩვენი ქვეყანა კი ერთ-ერთი უდიდესი პარტნიორია „ბუდიმექსისა“, რომელმაც საბჭოთა კავშირში ააშენა საცხოვრებელი სახლები, ტურისტული კომპლექსები, განახორციელა მთელი რიგი არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქცია-რესტავრაცია. „ბუდიმექსი“ მონაწილეობს სამთო-სათხილამურო კურორტის გუდაურის სპორტული კომპლექსის მშენებლობაში.

სიმპოზიუმზე განიხილეს პოლონეთ-საქართველოს ერთობლივ საწარმოთა შექმნის შესაძლებლობები.

▼ ▼

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრებმა მოაწყვეს გამსვლელი სამეცნიერო-მეთოდიკური

სესია უშგულში

მოხსენებები „დედაენა ოჯახსა და სკოლაში“, „საქართველოს ისტორია სკოლაში“, „მოსწავლეთა აღზრდის სადღეისო საკითხები“, „მსოფლიო ისტორიის სწავლების საკითხები სკოლაში“, „ქართული ლიტერატურის „ახალი პროგრამა“ წაიკითხეს პროფესორებმა ალ. ღლონტმა, ფ. ლომაშვილმა, მ. ყოლბაიამ, ა. ჩხეიძემ და დოცენტმა დ. კოტორაშვილმა.

სესიის მონაწილენი მესტიის რაიონში ეწვივნენ სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს და გაეცნენ აღდგენითს სამუშაოებს.

▼ ▼

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს დიდი ილიას „მგზავრის წერილები“, სამუდამოდ დახსომებია მოხევე ლელთ ღუნიას წარუშლელი სახე. მწერლის შემოქმედებაში ცალკე თემადაც კი შეგვიქსა გამოგვეყო ხევის ცხოვრება.

ყაზბეგში გამართული აქაური სახალხო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

ილია ჭავჭავაძე და ხევი

ხომ სწორედ ამ თემას მიეძღვნა. დიდი მწერლის ცხოვრება და შემოქმედება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ მხარესთან. საქართველოს ეს თვალწარმტაცი კუთხე ირჩია მან პოემების „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ პერსონაჟთა მოქმედების ადგილად.

მწერალი ხშირად ყოფილა ყაზბეგში, იწერდა ადგილზრივ ლეგენდებს, ხალხურ თქმულებებსა თუ ანდაზებს, და მოხევეთა შორისაც ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა. იგი, როგორც „ივერიის“ რედაქტორი, დიდ ყურადღებას უთმობდა მიღებულ კორესპონდენციებსა და ცნობებს ხევიდან.

ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა პოეტ ალექსანდრე გომიაშვილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვალერიან ითონიშვილის, პროფესორ ვანო შადურის მოხსენებებსა და სხვა გამოსვლებში.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ

საკლესიო იუწყება

15 ოქტომბერი

◆ ფილიპინები

პრეზიდენტის განცხადება

მანილა. ფილიპინების მთავრობა მზად არის ჩაშალოს სამხედრო გადატრიალების ახალი ცდა, რომელსაც მემარჯვენე ძალები ამზადებენ, განაცხადა აქ პრეზიდენტმა კორაზონ აკინომ მინისტრების კაბინეტის მორიგი სხდომის შემდეგ, რომელზეც განიხილეს ქვეყნის პოლიტიკური ვითარება.

არ უნდა მოვდუნდეთ და ვალდებული ვართ მზად ვიყოთ მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისათვის, თქვა მან. პრეზიდენტის სასახლეს კვლავ გაძლიერებით იცავენ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მემარჯვენე დაჯგუფებები აყალიბებენ ალიანსს, რათა დაამხონ ქვეყნის კონსტიტუციური მთავრობა. ოთხშაბათს დედაქალაქის საქმიანი ნაწილის ცენტრში სასტუმრო „მანილა გარდენის“ შესასვლელთან მოხდა ძლიერი აფეთქება, რის შედეგადაც ათზე მეტი კაცი დაიჭრა და ისინი საავადმყოფოში წაიყვანეს. ხელისუფლებს მიაჩნიათ, რომ ბომბი დადეს ექსტრემისტებმა, რომლებიც ახლა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოახდინონ ვითარების დესტაბილიზაცია.

◆ ბელგია

ევროპარლამენტის კომისიის გადაწყვეტილება

ბრიუსელი. ევროპის პარლამენტის სახაზინო კომისიამ გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა ევროპის გაერთიანებათა სასამართლოში აღძრას სარჩელი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის გაერთიანებათა საბჭოს მომავალ დეკემბრის სესიაზე კომენსაციონში არ მოწესრიგდება საერთო ბაზრის სახაზინო საკითხი.

კომისიამ გადაწყვიტა მიმართოს ამ ღონისძიებას, რათა ხაზი გაუსვას „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრების საბჭოს წევრთა უპასუხისმგებლობას“, რომლებმაც ვერ შეძლეს დაეძლიათ წინააღმდეგობანი და ევროპარლამენტში შეეტანათ დადგენილი ვადისათვის — ამა წლის 5 ოქტომბრისათვის — გაერთიანების 1988 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი.

◆ ინდოეთი

ამზადებდნენ თავდასხმას

დელი. დასავლეთში მოკალათებული სიქი ექსტრემისტული დაჯგუფებები ამზადებდნენ თავდასხმას ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდზე კანდის ქალაქ ვანკუვერში, სადაც იგი მონაწილეობს თანამეგობრობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაში.

როგორც პრეს ტრას ოფ ინდიას საააგენტო წერს, იმოწმებს რა ინდოეთის მთავრობის წარმომადგენლის განცხადებას, ამ დანაშაულს მომზადების მონაცემები მიიღეს ინგლისის პოლიციის მიერ რამდენიმე კვირის წინათ დაპატიმრებული სიქი ექსტრემისტების დაკითხვისას. მათ ჩამართვეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც უნდა გადაეგზავნათ თავიანთი თანამზრახველებისათვის ვანკუვერში, სადაც იგი განხორციელდებოდა. (საკინფორმი).

◆ ნიკარაგუა

მოინონმს კანონპროექტი

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნულმა ასამბლეამ მოიწონა უცხოეთის ინვესტიციათა შესახებ კანონის პროექტი, რომელმაც ახალი იმპულსი უნდა მისცეს ეროვნულ ეკონომიკას და შესაძლებელი გახადოს ამერიკის შეერთებული შტატების მზარდი აგრესიის შედეგად გამოწვეული სერიოზული ეკონომიკური სიძნელეების დაძლევა.

კანონპროექტი მოიცავს ენერგეტიკას, ტრანსპორტს, ფინანსებს, ტელეკომუნიკაციებსა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს. ვარაუდობენ, რომ შერეულ საწარმოთა საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს საგარეოეკონომიური თანამშრომლობის სამინისტრო.

შემთხვევა

აფეთქება რესტორანში

სან-ფრანცისკო. ძლიერმა აფეთქებამ და მის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა დაანგრია სან-ფრანციესკოს ერთ-ერთი რესტორანი.

უბედური შემთხვევა მოხდა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში სასადილო შესვენების დროს, როცა შენობა ხალხით იყო სავსე. ორმოცამდე კაცი დაშავდა, მათ შორის რამდენიმე — სერიოზულად. წინასწარი მონაცემებით, აფეთქების მიზეზია გაჟონვა დაზიანებული ბალონიდან.

მხატვრის კომენტარი

ამერიკული ვერტმფრინავების მიერ სპარსეთის ყურეში ირანის სამი სატპტრული კატარღის და მათი ეკიპაჟების მოსპობა საშუალებას აძლევს ზოგიერთ ამერიკელ კონგრესმენსა და სამხედრო ექსპერტს გამოიტანონ დასკვნა, რომ შეერთებული შტატები ირანთან ომის პირზეა მისული (გაზეთებიდან).

ვიეტნამის აჩრდილი სპარსეთის ყურეში

ბ. ლომეიკის ნახატი

ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ

მ. ვლადი იგონებს ვ. ვისოცკის

პარიზი. პარიზის გამომცემლობა „ფაიარმა“ გამოსცა ვლადიმერ ვისოცკიზე ცნობილი ფრანგი მხახიობის მარინა ვლადის მოგონებათა წიგნი. მას ჰქვია „ვლადიმერი, ანუ შეწყვეტილი ფრენა“.

მ. ვლადი დაწვრილებით იხსენებს თავის მოგზაურობას 1967 წელს მოსკოვის მგზუთე საერთაშორისო კინოფესტივალის დროს, სადაც მან პოეტი გაიცნო, მოსკოვში თავიანთ ცხოვრებას. წიგნში მოყვანილია ნაკლებად ცნობილი ფაქტები, რომლებიც თვალსაჩინო საზღვარგარეთელ კულტურის მოღვაწეებთან — რობერტ დე ნიროსთან, ლაზა მინელისთან და სხვებთან ვ. ვისოცკის შეხვედრებს ეხება.

ავტორი აღწერს ვ. ვისოცკის მუშაობას თეატრში, მის პოეტურ და მუსიკალურ შემოქმედებას, მრავალრიცხოვან გამოსვლებს საბჭოთა კავშირში. ეხება რა ვ. ვისოცკის მოგზაურობას საზღვარგარეთ, მ. ვლადი წერს, რა ღრმა პატრიოტული გრძნობით იყო იგი გამსჭვალული, პოეტი ყოველთვის კატეგორიულ უარს ამბობდა მრავალჯერ შეთავაზებულ წინადადებაზე გადასულიყო დასავლეთში. „... მე ვერ დავიმობ ჩემს ფესვებს. ურუსეთად არარაობა ვარ, უჩემბალოდ, ვისთვისაც ვწერ, მე არ ვარსებობ“ — ამბობდა იგი.

მ. ვლადის მოგონებებთან ერთად, წიგნში შესულია ვ. ვისოცკის ფრანგულად თარგმნილი ლექსები.



ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲥᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲒᲣᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲮᲘᲓᲘ

ᲮᲣᲗᲘ წლის მანძილზე თერმეზში ამუ-დარიაზე გადებულ სარკინიგზო-საავტომობილო ხიდს ბევრი რამ ახსოვს. მაგრამ ახლა ახალი თავი ჩაიწერა მის ისტორიაში — მან უშუალოდ დააკავშირა უზბეკეთის ოლქები და ავღანეთის პროვინციები, რომლებმაც პირდაპირი ხელშეკრულებანი დადეს: სურხანდარია და ბალხი, ფერგანა და ჯაუზჯანი, სამარყანდი და ბაგლანი, ტაშკენტი და სამანგანი.

ტვირთის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ავღანეთი მთელი მსოფლიოდან იღებს, ამ ხიდზე გადადის. მატარებლებს ჩაიქვთ საშენი მასალები, მოწყობილობა, ტექნიკა — იქ ხომ საბჭოთა ადამიანები ეხმარებიან ავღანელებს ჰაირათინის ნავსადგურის გაფართოებაში, გაჰყავთ საირიგაციო სისტემა „კოკჩა“, ქაბულში ამენებენ 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მიკრორაიონს, საბჭოთა კავშირის საზღვრიდან მაზარი-შარიფისაკენ გაჰყავთ ელექტროგადამცემი ხაზი-220. ფოლადის ლანდაგით ჩადის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასუქები, საწვავი, ჩარხები და თესლი. ვაგონებში არის სხვა სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე იაპონიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, სატრანზიტო ტვირთი. თერმეზი, რომელსაც ქვეყნის სამხრეთ კარიბჭეს უწოდებენ, ხიდის გადების შემდეგ დიდი საერთაშორისო სატრანსპორტო კვანძი გახდა. აქ არის ნავსადგური და რკინიგზის სადგური, მოქმედებს საწარმო „საკავტთერმეზი“, რომელსაც აქვს დიდტვირთიანი ვაგონების ძლიერი პარკი. ისინი პირდაპირ რეისებს ასრულებენ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის გავლით ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში.

უძველეს მდინარეზე გადებულმა ამ ხიდმა არა მარტო ნაპირები, არამედ მეზობელი ხალხების გულებიც დააკავშირა.



ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲨᲙᲔᲜᲢᲘ.
ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲚᲘᲕᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲝᲥᲝᲚᲪᲐᲪ ᲐᲚᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲕᲓᲘᲗ.
 З. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡᲗᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ).

ᲘᲝᲑᲔᲫᲘ

ᲛᲘᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲠ ᲨᲕᲘᲚᲘ...

გული ფრენით შეიჯერე,
მიაშურე ცინცხალ წყაროს,
დალიე და მოხველ მერე,
ზღაპარს მოჰყევ, ნიავქარო.

მთებში იყავ ჩაკარგული,
განა ტყუილად გქვია ქარი?!
ამიჩქროლე ძმობილს გული
მწვერვალებთან ნაუბარით.

შემდეგ, როგორც გეკადრება,
ზესკნელისას შესწვდი მორევს,
ვარსკვლავების მითხარ ქება,
ციური ხმა გამაგონე.

ტრფობის ლოცვა მიჩურჩულე,
ხმას უკეთურს განმარიდე,
ციმციმის ნიჭს ნუ დაულევ
ცაზე დასხმულ მარგალიტებს...

მთებს ჯერ კვლავაც ჩადრი
ბურავს,
განაბულა ჯერაც წყაარო,
ბულბულმა კი მიაშურა
„ვარდს, რომ ისევ გაგვახაროს.

მზის სხივები, აგრე შუმი,
კვლავ მოდგება ცისკრის
კართან,
ნახელავი აბრეშუმით —
დაფიონის ფეთქავს ფარდა.

თითქოს ვიყო დანატრული,
არ ეხილოთ დიდხანს თვალებს—
განთიადით განათლული,
რა ტურფაა ჩემი მხარე!..

მიალერსებს სიო დილის,
გადაიძრეს მოებმა თალხი,
მიხარია, რომ ვარ შვილი
ამ მიწის და ჩემი ხალხის!..

თარგმნა ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ—ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ, ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘ—ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

◆ **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** და უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალ დარგში ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებთ. ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ მიწისძვრით დანგრეული ტაშკენტის აღორძინება-მშენებლობაში. უზბეკეთის, დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ფართო და ვრცელი საავტომობილო მაგისტრალი რუსთაველის სახელობისაა.

◆ **ᲡᲣᲚ** უფრო მტკიცდება კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობებიც. ჩვენს რესპუბლიკაში მარტო ამ ბოლო წლებში ქართულ ენაზე გამოვიდა გ. გულიამის, შ. რაშიდოვის, ა. ხოჯიევის, ა. ორიფოვის და სხვა უზბეკი ლიტერატორების ნაწარმოებები. უზბეკი მკითხველები კი თავიანთ მშობლიურ ენაზე გაეცნენ გ. ტაბიძის, ნ. დუმბაძის და ქართული პროზისა და პოეზიის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლების ქმნილებებს.

◆ **ᲛᲔᲘᲓᲠᲝ** კონტაქტებია ეკონომიკაშიც. საქართველოდან უზბეკეთში იგზავნება ძალური ტრანსფორმატორები, მუყაო, ამწის ძრავები, სხვადასხვა მარკისა და ხარისხის ფოლადის მილები, ნაგლინი, ელექტროშესადუღებელი აპარატურა, ელექტროაგტომატები, ხელსაწყოები...

◆ **ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲓᲐᲜ** საქართველოში შემოდის კაბელი, მცირე ძაბვის ნაწარმი, ხელსაწყოები, თუჯის მილები, ცისტერნები, ლითონსაჭრელი ინსტრუმენტები, ტუმბოები, კომპრესორები, საგზაო მშენებლობის მანქანათა სათადარიგო ნაწილები, შპალერის წებო, რეზინ-ტექნიკური ნაწარმი და სხვ.

ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ი. ᲣᲡᲛᲐᲜᲮᲝᲯᲐᲔᲕᲘ

— **ᲘᲡᲔᲕᲔ** როგორც მთელ ქვეყანაში, რესპუბლიკაში მიმდინარე გარდაქმნაში დადგა კონკრეტული ცვლილებებისა და პრაქტიკული საქმეების პასუხსაგები პერიოდი, — ასე დაიწყო ხაუბარი უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. უსმანხოჯაევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა მოგვთხოვა გავაღრმაოთ ახლებური მიდგომა, ვუმატოთ ძალისხმევას განახლების გზებზე. ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ ამოცანას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სკკპ XXVII ყრილობაზე უზბეკეთი დასახულეს იმ რეგიონთა შორის, სადაც ნეგატიური მოვლენები ყველაზე მახინჯი ფორმით გამოვლინდა. კომუნისტები, მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან მათი შედეგების აღმოფხვრისათვის, მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია იწმინდება იმ პირებისაგან, რომლებიც გახრწნისა და გადაგვარების გზას დაადგნენ.

დაიწყო საკადრო პოლიტიკის ძირეული გარდაქმნა, რომელიც ინტერნაციონალურ საფუძველზე შენდება. ამ რთულ და პასუხსაგებ საქმიანობაში ყოველმხრივ გვეხმარება სკკპ ცენტრალური კომიტეტი. ქვეყნის დიდი პარტიული ორგანიზაციებიდან რესპუბლიკაში სამუშაოდ ჩამოვიდა 400-ზე მეტი გამოცდილი, ენერგიული ამხანაგი. ამავე დროს ვაწინაურებთ ადგილობრივ პერსპექტიულ მუშაკებს, რომლებსაც აქვთ საწარმოო წრთობა და საჭირო პოლიტიკური თვისებები, ვქმნით კადრების საიმედო რეზერვს.

უზბეკეთის მუშაკთა დიდი ჯგუფი სტაჟირებას გადის საკავშირო ორგანოების აპარატში, სხვადასხვა რეგიონის პარტიულ კომიტეტებში. გაიზარდა რესპუბლიკიდან მსმენელთა მიღება უმაღლეს პარტიულ სკოლებში. ფართოვდება უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალური გაცვლა, უზბეკეთის ახალგაზრდობის დიდი რაზმი ყველაზე რთულ მუშურ პროფესიებს ეუფლება რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

პარტიულ კომიტეტებსა და ორგანიზაციებში იზრდება მომთხოვნელობის, კოლეგიურობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარება, უფრო ხშირად ისმენენ კომუნისტთა, ხელმძღვანელთა ანგარიშებს. იკლო სასხდომო ფუსფუსმა და ქაღალდმთხზველობამ. მორალურ-პოლიტიკურ ვითარებას სულ უფრო მეტად ახასიათებს საჯაროობა, დემოკრატიზმი, საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო ჩაბმა.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პარტიაში მიღებისა და პარტიული რიგების განმტკიცებისათვის ტაშკენტის საოლქო პარტორგანიზაციის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. დადგენილების რეალიზაცია ხელს შეუწყობს პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის სრულყოფას.

განსაკუთრებით საჭიროა ცვლილებანი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, რომლებიც შრომითი კოლექტივების პოლიტიკურ ბირთვს შეადგენენ. მაგალითად, გაერთიანება „ნავოიზოტში“ კომუნისტთა ინიციატივით მიღებულია წარმოებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამა, დაინერგა მრავალი ასეკეთო სიახლე, რამაც საწარმოს ათიათასიანი კოლექტივის მუშაობა სტაბილური გახადა.

სამწუხაროდ, ასეთი მაგალითი ჯერჯერობით ერთეულია. ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში თავი იჩინა დამუხრუჭების მექანიზმმა. რაც შეიძლება სწრაფად დავამსხვრიოთ იგი, შევქმნათ დაჩქარების მექანიზმი — ასეთია ჩვენი უპირველესი ამოცანა.

ამ მიმართულებით გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობის საბჭომ ხელი მოჰკიდა წარმოების ტექნიკური განახლების საკითხებს. თავი მოვუყარეთ მეცნიერულ და საინჟინრო ძალებს და მიზნად დავუსახეთ მთელი შუა აზიის რეგიონისათვის უმწვავესი პრობლემის გადაწყვეტა — ბამბის საკრეფი ტექნიკის ახალი თაობის შექმნა.

სოფლის მეურნეობაში ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის წყალობით შეინიშნება ძვრები: სრულდება ხორცის, რძის, კვერცხის დამზადების გეგმები. ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა საკვების წარმოება, იქმნება მეცხოველეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ბაზა.

საბინაო პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას რესპუბლიკაში. ამიტომაც გაიზარდა ბინებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ხაჯესპლოატაციოდ გადაცემის ტემპი. ვცდილობთ უფრო სრულად გამოვიყენოთ მშენინდუსტრიის სიმძლავრეები.

გამოვძებნეთ ახალი მიდგომა ისეთი რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრისადმი, როგორიც არის საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ჩაბმა. მაგალითად, მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე ქალაქ კოკანდის საწარმოთა გადაყვანამ საშუალება მოგვცა უზრუნველგვეყო ახობით ადამიანის შრომითი მოწყობა. ასეთივე მუშაობა ხორციელდება რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებშიც: ფერგანის ველისა და ჭარბი შრომითი რესურსების მქონე სხვა რაიონების სულ უფრო მეტი ოჯახი გადადის ჯიზაკისა და ყარშის ველების ახალ მეურნეობებში. უზბეკეთის ათასობით წარმომადგენელი მონაწილეობს ბამის ზონის ათვისებაში, არაშავმიწანიადაგიანი ზონის, ტიუმენის, შორეული აღმოსავლეთის ობიექტების მშენებლობაში. კოოპერატივების განვითარების, შინწარმოებისა და შრომის სხვა ფორმების დანერგვის შედეგად წლის განმავლობაში წარმოებაში დამატებით ჩავაბით 150 ათასი კაცი.

გარდაქმნა გაიგო და მიიღო ხალხმა. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ძვრებია. განახლება ჩვენში ჯერ კიდევ ნელა, შეფერხებებით მიმდინარეობს, უწინარეს ყოვლისა, აგროსამრეწველო კომპლექსში, მას კი განსაკუთრებული ადგილი უკავია შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, როგორც ბამბის ძირითად მწარმოებელს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აგრარულ სექტორში დაბანდებულია 28 მილიარდი მანეთი, მაგრამ უკუგება მინიმალური აღმოჩნდა. მოსავლიანობა შემცირდა, ინტენსიური ტექნოლოგიები მემცენარეობაში უაღრესად ნელა იკაფავს გზას. სამართლიანად გაგვაკრიტიკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „უზბეკეთის სს რესპუბლიკაში, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკასა და თურქმენეთის სს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსის ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალის არადამაკმაყოფილებელი გამოყენების შესახებ“,

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე მივიღეთ მეცნიერულ საფუძველზე დარგის გადაყვანის პროგრამა. მებამბეობაში გადავდგავართ საბოლოო შედეგის — ბოჭკოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურებაზე.

დროის მკაფიო ნიშან-თვისებაა მისწრაფება — დავძლიოთ სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი მიდგომის ეგრეთ წოდებული ნარჩენების გამოყოფის პრინციპი. პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ყოველდღიური ყურადღების სფეროში მოექცა პრობლემები, რომლებიც უკავშირდება სახალხო განათლებას, ჯანმრთელობის დაცვას, კულტურის, ვაჭრობის, სპორტის დაწესებულებათა საქმიანობას. სერიოზული შემობრუნება იგრძნობა შემოქმედ ინტელიგენციასთან პარტორგანიზაციების ურთიერთობაშიც, რომლებშიც იდეური პრინციპულობა, მომკითხველობა, ნიჭის პატივისცემა და ტაქტი ნორმა უნდა იყოს.

ახლანდელ ამოცანებს რომ ვწყვეტთ, განვლილი გზის ისტორიულ ანალიზს ვუკავშირებთ მათ. რუსი და სსრ კავშირის სხვა ხალხთა დახმარებით უზბეკეთი ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გადავიდა. ყველა ერისა და ეროვნების ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევა, მათი შემდგომი ყოველმხრივი განვითარება და დაახლოება, ერთიანი საბჭოთა ხალხის შექმნა — ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის დიადი მიღწევებია.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას უპირველეს ამოცანად მიაჩნია ყველა მშრომელს ჩაუნერგოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ურღვევი პრინციპების სულისკვეთება, ამრავლოს რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, შეასრულოს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი გეგმავალდებულებანი.

უზბეკურ ენაში არის სიტყვა „ხაშარი“ — მშენებლობა ყველას მონაწილეობით. ხაშარით ავაშენეთ მიწისძვრის შემდეგ ტაშკენტი და ღაზლი, ვითვისებდით შიერ ველს. ხაშარით შენდებოდა ბამი, ყამარის ტყეები რუსეთის არაშავმიწანიადაგიან ზონაში, მწყობრში ვაყენებთ ტიუმენის სათბობ კომპლექს. გარდაქმნის დიადი საქმეც ხაშარია, რადგან ეს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების საერთო, ღვიძლი საქმეა.

ᲜᲐᲛᲐᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲗᲣᲠᲐᲧᲣᲠᲚᲐᲜᲘᲡ ᲩᲘᲠᲘᲡ ᲡᲠᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲩᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲘᲒᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ.
ᲐᲥ ᲐᲛᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲐᲠᲒᲐᲠᲘᲡ, ᲥᲚᲘᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲡᲕᲘᲡ ᲩᲘᲠᲘᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲤᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲖᲔ ᲓᲐ ᲭᲘᲨᲛᲘᲨᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲩᲐᲠᲩᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲤᲐ. ᲗᲣᲠᲡᲣᲜᲝᲕᲐ.

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ მეტრომშენებლებმა ტრადიციისაშებრ წინდაწინ დანიშნეს მიწისქვეშა გზის ახალ უბანზე მოძრაობის გახსნის არა მარტო დღე, არამედ საათიც. ეს მოხდება 7 ნოემბერს, ზუსტად თექვსმეტ საათზე.

პირველი მატარებელი, რომელშიც მშენებელთა შეჯიბრების გამარჯვებულნი და საპატიო მგზავრები იქნებიან, მოქმედ სადგურ „ტაშკენტიდან“ უზბეკეთის დედაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის გარეუბნისაკენ წავა. ხაზი ქალაქის ცენტრს დაუკავშირებს ქარხანა „ტაშკენტსოფლმანქანასა“ და ვ. პ. ჩკალოვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანებას...

როცა ტაშკენტელი მეტრომშენებლები იწყებდნენ მუშაობას, მათ ეხმარებოდნენ კოლეგები — მრავალი ქალაქის წარმომადგენლები. ახლა „ტაშკენტმეტრომშენი“ საკავშირო შეჯიბრების ლიდერია — თავად ეხმარება მეტროს ხაზების გაყვანაში მოსკოვს, ერევანს, გორკს და ნოვოსიბირსკს.

7 ნოემბერს ტაშკენტის მეტროპოლიტენს ათი წელი შეუსრულდება.

„დაბადების დღის“ აღსანიშნავად მთელი ქალაქი ემზადება. ეს კი სასიამოვნო სამზადისია: მეტრო ხომ მილიონ მგზავრს გადაიყვანს უკვე არა სამ, არამედ ორ დღეში.

ᲥᲣᲩᲐ ᲪᲘᲛᲒᲘᲠᲨᲘ...

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ ქუჩა გაჩნდა ნიავაში — ტიუმენის ჩრდილოეთის ახალგაზრდა ქალაქში. ხუთსართულიანი სახლები შემკულია უზბეკური ეროვნული ჩუქურთმით. „უზბეკტიუმენბინმშენის“ სამშენებლო მატარებლის მუშებმა და ინჟინრებმა დაიწყეს კომპლექსური გაშენება მიკრორაიონებისა, რომლებშიც ნავთობის საბადოების პირველმკვლევები იცხოვრებენ.

იმიერპოლარეთში შენობათა ყველა დეტალი უზბეკეთიდან ჩაიტანეს, გაიყვანეს მისასვლელი ავტომაგისტრალები ნიაგანისაკენ. ისინი თითქოს კვეთენ გაუვალ ტაიგასა და ჭაობებს და სავახტო დასახლებებს შორის გაჭიმულან. თითქმის სამასი კილომეტრი შესანიშნავი გზა გაიყვანეს ტიუმენის მიწაზე „უზბეკტიუმენგზამშენის“ ტრესტის მუშებმა. ასკილომეტრიანმა მაგისტრალმა დააკავშირა ნიაგანის სადგური და ობისპირეთის პერსპექტიული ნავთობისა და გაზის საბადოები.

მეთორმეტე ხუთწლედში უზბეკეთის წარგზავნილები თავიანთი მასალებით ნიაგანში დამამტკიცებენ 200 ათასამდე კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ბინებს, ექვს საბავშვო ბაღს, ორ სკოლას, ააშენებენ სერვისისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, გზის მშენებლებს გათვალისწინებული აქვთ გაორკეცონ ტაიგის ავტომაგისტრალების სიგრძე.

„ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ...“

ᲑᲔᲨᲙᲣᲢᲐᲜᲘᲡ მასივის მიწებზე ზერავშანის ქედის მთისწინეთში პირველად მივიდა წყალი. არხი, რომელმაც სათავე ახალი გისოარის წყალსაცავიდან აიღო, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში კიდევ 40 ათას ჰექტარ მანამდე გამოუყენებელ ნოყიერ მიწებს მოაქცევს. აქ შექმნილი საბჭოთა მეურნეობები ქვეყანას მისცემენ ბამბასა და მარცვლეულს, ბოსტნეულს და ხილს; ხორცსა და რძეს.

ახდა შუა აზიისადმი მიმართული ვ. ი. ლენინის სიტყვები. „მორწყავ ყველაზე მეტად სჭირია და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებულ მას, დასამარებულ წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

ირიგაციის მეოხებით ბამბის წარმოება რესპუბლიკაში ათჯერ მეტად გაიზარდა. ამან სამუალება მისცა ქვეყანას უარი ეთქვა ბამბის შემოტანაზე, გამხდარიყო ბოჭკოს უდიდესი ექსპორტიორი. მშიერ ყარსის, სურხანდარაბადის ველების ეიებერეფელა უსიცოცხლო მასივები ადამიანმა ბაღნარად აქცია.

ყველაფერი კი დაიწყო „თურქესტანში სარწყავი სამუშაოებისათვის 50 მილიონი ასიგნების გამოყოფის და ამ სამუშაოთა ორგანიზაციის „შესახებ“ დეკრეტით, რომელსაც 1918 წელს ხელი მოაწერა ვ. ი. ლენინმა. გაპარტახებულმა ქვეყანამ დახმარების ხელი გაუწოდა თურქესტანის სოფლის პროლეტარიატს. განვლილი ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკის წყალსამეურნეო მშენებლობას ათმილიარდობით მანეთი მოხმარდა.

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

▲ **ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ** წლის დამდეგს უზბეკეთში ცხოვრობდა ას ეროვნებაზე მეტი 18,5 მილიონი კაცი. რესპუბლიკის ტერიტორია 447,4 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობით უზბეკეთის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მესამე ადგილი უკავია, ტერიტორიით — მეხუთე.

▲ **ᲓᲦᲔᲡ** რესპუბლიკის ინდუსტრიას ორ კვირაზე ცოტა მეტი სჭირდება იმისათვის, რომ ამდენივე სამრეწველო პროდუქცია აწარმოოს, რამდენსაც ომამდელ მთელ 1940 წელს აწარმოებდა.

▲ **ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲨᲘ** ყოველდღიურად 550 ქორწინება აღირიცხება და 1860 ბავშვი იბადება. ახალშობილთა რაოდენობის მიხედვით რესპუბლიკა ქვეყანაში პირველ ადგილს იყოფს ტაჯიკეთთან ერთად. ასი ათასზე მეტ ქალს რესპუბლიკაში „გმირი დედის“ საპატიო წოდება აქვს მინიჭებული.

▲ **ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ** 300 სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პანსიონატში 250 ათასი კაცი იკაჟებს ჯანმრთელობას.

◆ **ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ** ცხრა ათასზე მეტ სკოლაში საშუალო განათლებას იღებს 4,5 მილიონი ბავშვი. საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი 300 ათასს აღემატება, 42 უმაღლეს სასწავლებელში 287 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი სწავლობს. ტაშკენტის ინსტიტუტებში 70 ქვეყნის სამი ათასზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

◆ **ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ** უზბეკურ, რუსულ, ყარაყალპაყულ, ტაჯიკურ, ყირიმელ თათართა ენებზე 286 გაზეთი გამოდის. მათი ერთჯერადი ტირაჟი 5,5 მილიონია.

◆ **ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ** სცენურ ხელოვნებას 31 პროფესიული და 62 სახალხო თეატრი ემსახურება. უზბეკეთის ქალაქებსა და სოფლებში 7690 მასობრივი ბიბლიოთეკა მოქმედებს. მათი რეგულარული მკითხველია ყველა ასაკისა და ეროვნების 4,6 მილიონი მცხოვრები.

ᲡᲡᲠᲙ 50 ᲬᲚᲘᲡ�თᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ“ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲐ. ᲐᲥ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲛᲑᲔ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲣᲢᲐᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲑᲐᲛᲔᲚᲔᲑᲡ.
ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲛᲖᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ № 6 ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲨᲘ.
Ა. ᲒᲝᲠᲝᲛᲙᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ З. ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ-ᲤᲝᲢᲝ. (ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘ).

ეროვნული პოტენციალი და თავისთავადობა

ქართული სახვითი ხელოვნების ყოველი გამოფენა, მისი ღირსებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, გარკვეულად წარმოაჩენს თანამედროვე ხელოვნების რთულსა და მრავალპლანიან ბუნებას, მკაფიოდ გამოკვეთს მის დღევანდელ სახეს, ახალი კუთხით წარმოადგენს განვითარების საერთო სურათს.

შემოქმედებითი სახელოსნოების გამოფენა, რომელიც მხატვრის სახლშია გახსნილი მთლიანობაში წარმოგვიდგენს მხატვრული მოღვაწეობის ამ სფეროს. გამოფენაზე თვალსაჩინოა ამ სახელოსნების დიდი მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში.

პირველი შემოქმედებითი სახელოსნო — ფერწერის სპეციალობით 1970 წელს ჩამოყალიბდა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის ინიციატივითა და საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით. ეს იყო რიგით მეოთხე რეგიონალური შემოქმედებითი სახელოსნო საბჭოთა კავშირში. შემდეგ კი, როდესაც გაიხსნა გრაფიკის (1972 წ), ქანდაკებისა (1972 წ.) და მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სახელოსნოები, შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ სფერომ ქართული სახვითი ხელოვნების ყველა დარგი მოიცვა.

სახელოსნოებს სათავეში ჩაუდგნენ ქართული ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები: აკადემიკოსი უჩა ჯაფარიძე, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სერგო ქობულაძე, მოქახდაკე ვალერტინ თოფურიძე, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტები გიორგი თოთიბაძე, კონსტანტინე მერაბიშვილი, ზურაბ წერეთელი.

შემოქმედებითი სახელოსნოების მუშაობის პრინციპი თავისთავად გულისხმობს ნიჭიერი ახალგაზრდების თავმოყრას და მათთვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნას — დამოუკიდებელი მოღვაწეობისა და შემდგომი დოსტატებისათვის.

გამოფენის საერთო დამახასიათებელი ნიშნები მეღავნდება მასში მონაწილე ყველა მხატვრის შემოქმედებაში. ეს არის ეროვნული მხატვრული ტრადიციების მძლავრი ნაკადი, შესრულების დიდი კულტურა, არაჩვეულებრივ ესთეტიკურ გარემოს რომ უქმნის დამთვალიერებელს, თემატური და სტილისტური მრავალფეროვნება. ყველა ეს ნიშანი გამოფენის ძირითად ღირსებებად არის ქცეული და ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს თვისებები თვით შემოქმედებითი სახელოსნოების ქმედების პრინციპიდან გამომდინარეობს.

ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნო ყველაზე „ხანდაზმულია“ ამ გაერთიანებებს შორის. მან თავისი არსებობის მანძილზე ბევრი ნიჭიერი შემოქმედის მოღვაწეობას დაუდო საფუძველი. ამ სახელოსნოს წარმომადგენელთა თვის კანონზომიერებად იქცა ქართული ხელოვნების წიაღში საკუთარი მხატვრული სამყაროს დამკვიდრება. ამ ხელოვანთა მოსავლა ყოველთვის შესამჩნევია, რადგან მათ თან მოაქვთ სიახლის ის განსაკუთრებული სურნელი, რომელიც სახვით ხელოვნებას თავისი განვითარების ყოველ ეტაპზე სჭირდება. ო. კაკაბაძემ თავისი პეიზაჟებით ქართული ბუნების ახლებური განცდა მოიტანა. მისი სივრცობრივი მონუმენტურობით გამსჭვალული ნამუშევრები პეიზაჟური ჟანრის თამამ ფერწერულ ინტერპრეტაციებს წარმოადგენენ, რომელშიც ობიექტის რეალურობა ავტორის ხედვის თავისებურებით არის გაყენთილი. („ადრეული გაზაფხული“, „სიღნაღის კოშკი“, „მოგონება“).

გ. ბუღაძის შემოქმედება რთული და მრავალპლასტიანი მხატვრული ქსოვილისგან არის შედგენილი. მისწრაფებათა მრავალფეროვნება და დინამიკა, შთაბეჭდილებათა მხატვრული გადამუშავება, ისტორიული მასალის გადმოსაცემად ახალი სტილისტური ფორმის მოძებნა, რომელიც ინტენსიურ მგრძნობელობით და სახეობრივ საშუალებებზეა დამყარებული — წმინდა მხატვრული გამომსახველობის ფარგლებს სცილდება და თითოეულ ნაწარმოებს მძლავრი სულიერი ფაქტორის მნიშვნელობა ენიჭება (სერია — „ქართლის ცხოვრება“).

ეროვნული კულტურისადმი აქტიური დამოკიდებულება ვლინდება დ. მისიაშვილის მონუმენტურ ტილოებში. იგი ახალ სიუჟეტურ და სტილისტურ ძიებრადობას ანიჭებს ისტორიულ თემატიკას და ქმნის ნაწარმოებებს, რომელთა ზემოქმედების ძალა მათ მონუმენტურ-დეკორატიული გადაწყვეტის თავისებურებაში მდგომარეობს („ბერიკაობა“, „ცხენის ისტორია“).

ცხოვრებისეულ მოვლენათა დაკონკრეტება ახასიათებს ზ. კახნიაშვილის, ხ. ირემაძის, ი. ფხიკიძის, ა. ტყებუჩავას ნაწარმოებებს, ნ. ხერკელაძის სურათებში კი ეროვნული ყოფითი თემატიკის პოეტიზირებისა და ეთნოგრაფიულობისაკენ მისწრაფების ტენდენცია შეინიშნება.

თავისებურ დეკორატიულ მანერაშია შერჩეული ო. ჩუბინიძის ნამუშევრები. ჩანს მხატვრის უნარი, პოეტურობის განცდა შეიტანოს ყოფითს მოტივში, განაზოგადოს და მონუმენტურობა მიანიჭოს ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენებს („გზა“, „ჩემი საქართველო“, „პეიზაჟი“).

ფერწერული ტემპერამენტით ხასიათდება ჯ. შონიას გ. მირზაშვილის, ვ. მარგიანის, ი. პატაშურის, მ. მეძმარიაშვილის ნამუშევრები. ამაღლებული და პოეტური თხრობით გამოირჩევა ზ. გოლაძას შემოქმედება.

სახვით საშუალებათა ლაკონიურობა, მათი თავისებური, ორიგინალური კომპოზიციაში მოქცევა ახასიათებთ ს. კენჭაძის ნამუშევრებს. პორტრეტული ჟანრი ფართოდ არის წარმოდგენილი გამოფენაზე. გ. გეგეჭკორი ეროვნული ტიპაჟის თავისებურებით არის დაინტერესებული და ამის გადმოსაცემად შესაფერისი კოსტიუმი და გარემო აქვს არჩეული.

მ. იაშვილი დეკორატიული სახვითი საშუალებებით ერთ განუმეორებელ ტიპაჟის შექმნას ითვალისწინებს. გ. აღაპიშვილი ყურადღებას ამახვილებს მოდელის რეალისტურ, თითქმის ნატურალურ აღქმაზე.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს გ. გუგეშვილის ფარული შინაგანი განცდით გამსჭვალული კომპოზიციები, ბ. არბოლიშვილის ფაქიზი პოეტურობით შესრულებული პეიზაჟი.

გრაფიკის სახელოსნოს მოღვაწეობის პრინციპი ინდივიდუალური შემოქმედებითი სახის შექმნას გულისხმობს. ამ სახელოსნოს წარმომადგენლები საკუთარ შინაგან სამყაროს ეყრდნობიან და თუ ფერმწერთათვის თემა თავიანთი სულიერი მისწრაფებების გამოხატვის საშუალებაა, გრაფიკისათვის იგი უკუპროცესია. მხატვრის ემოციურ-გრძნობადი სამყარო თვით იძლევა თემატური ინტერპრეტაციის საშუალებას.

სახვითი ხერხების ფართო დიაპაზონი თემის ადექვატური ფორმის ზუსტად მოძებნის შესაძლებლობას იძლევა, ამიტომ გრაფიკის ექსპონიცია ტექნიკურ საშუალებათა მრავალფეროვნებით ხასიათდება.

მ. თავაძის ნამუშევრების მხატვრული ქსოვილი სახეთა რთული სისტემით არის შედგენილი და უზადო შესრულებით საერთო კომპოზიციურ მთლიანობაშია მოყვანილი (სერია „ფრესკა“).

გ. წერეთლის ოფორტების სერია „ქართლი“ გადმოგვცემს თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულებას წარსულისადმი.

ეროვნული ხელოვნების ტრადიციებთან ზიარება თავისებური ფორმით ვლინდება ი. გიგაშვილის შემოქმედებაში. მის ნაწარმოებებს მხატვრული სახეების ალეგორიული მეტაფორაზრიება, სიმბოლური მნიშვნელობა ახასიათებთ.

საკუთარ შინაგან სამყაროში ჩაღრმავებისა და გრძნობად-ემოციური განცდების უჩვეულო და მოულოდნელი ფორმით გამოხატვის საუკეთესო მაგალითია ნ. ჭურღულიას შემოქმედება.

პოეტური განზოგადებით ხასიათდება ე. ფირცხალაიშვილის სერია „ეთერიანი“.

პლასტიკური ამოცანების ორიგინალური გადაწყვეტა, ახალი თემატიკის დამკვიდრება, ტრადიციული ჟანრების ახალი კუთხით წარმოჩენა ახასიათებს **ქანდაკების** შემოქმედებითი სახელოსნოს წევრებს.

ქართული პლასტიკის მრავალფეროვან შესაძლებლობათა დადასტურებაა ჯ. გოგაბერიშვილის შემოქმედება. ქანდაკების მასალად რიყის ქვის არჩევა უამრავ ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რომელთა გადალახვას მოქანდაკე ვირტუოზული ოსტატობითა და პროფესიონალიზმით ახერხებს. თავისი ნამუშევრებისათვის ჯ. გოგაბერიშვილი ქვის ბუნებრივ ფორმებს იყენებს და იმდენად ზუსტად არჩევს კომპოზიციებს, რომ ხშირად ბეჭედ ჩანს. ამასთან უკარნახებს მოქანდაკეს თემას, თუ პირიქით.

ქართული პორტრეტული პლასტიკის ტრადიციები საინტერესოდ არის განვითარებული ლ. ჩლაიძისა და ე. ეპიტაშვილის შემოქმედებაში.

კომპოზიციურ-პლასტიკური გადაწყვეტის თავისებურებით გამოირჩევა ლ. ვარდოსანიძის ნაწარმოებები. მოქანდაკე მონუმენტურ-დეკორატიული პლასტიკის ნიშებს ალეგორიულ შეფერილობას ანიჭებს. ჟანრული ქანდაკების ნიმუშებს გვთავაზობენ გ. ლარიაშვილი, ი. გველესიანი, ბ. ბაინდურაშვილი.

ბოლო ათეულ წლებში ქართული **მონუმენტურ-დეკორატიული** ხელოვნება თანამედროვე ცხოვრების აქტიურ თანამზრავად იქცა, მისი საზღვრები გაფართოვდა და მას ადამიანის გარემომცველი სამყაროსათვის ესთეტიკური ღირებულების მინიჭების ამოცანა დაეკისრა.

მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სახელოსნო არსებობის რამდენიმე წელს ითვლის. გამოფენილი მასალის მრავალსახეობრივობა ამ სახელოსნოს ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობაზე მიუთითებს. აქ მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების თითქმის ყველა დარგი წარმოდგენილი: გობელენი, ლითონის მხატვრული დამუშავება, დეკორატიული ქანდაკება და ფერწერა, კერამიკა, ვიტრაჟისა და მოზაიკის ესკიზები.

გ. მგალობლიშვილის, ბ. სამსონაძისა და მ. დანელიას ფერწერული ნამუშევრები მძაფრი დეკორატიულობით გამოირჩევიან. აქ თავს იჩენს მათი პროფესიული დამოკიდებულება არჩეული თემისადმი.

კომპოზიციური ენის ორიგინალობითა და ლაკონიურობით ხასიათდება ნ. ბუაძის პლაკატები „ქართული ჰედონობა“, „ქართული მოზაიკა“.

მხატვართა მდიდარი ფანტაზია და ნატიფი გემოვნება ეროვნული ხელოვნების ტრადიციების ახლებურად გაგზრებას საშუალებას იძლევა. გ. იაშვილის კერამიკულ ნამუშევრებში ავტორის თვალთახედვა მისი სტილისა და მეთოდის საფუძველი ხდება.

შესანიშნავი დეკორატიული ღირსებებით ხასიათდებიან მ. დანელიას, დ. ღვინიაშვილის, ი. მაჭავარიანის ნამუშევრები.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნოების გამოფენამ ცხადი გახადა, რომ ამ სახელოსნოებში ქართული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები არიან თავმოყრილი. მათთვის, ვინც თვალს ადევნებს გამოფენებს, აქ წარმოდგენილ მხატვართა სახელი კარგად არის ცნობილი. მათი შემოქმედება თანამედროვე ქართული ხელოვნების წარმატების უცვლელი მაჩვენებელია.

ბაია წიქორიძე.



სურათებზე: გამოფენის ექსპონატები: ლ. ხარანაულის „ლელას პორტრეტი“; ჯ. გოგაბერიშვილის „ქალი და კენტავრი“; გ. იაშვილის „დეკორატიული ვაზები“.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ▢ მოვლენა ▢ კომენტარი

გუშინ მოსკოველებმა ხალხთა მეგობრობის თეატრის დაბადება იზეიმეს. საპატიო მისი მისია — დედაქალაქელთ რეგულარულად გააცნოს მოკავშირე რესპუბლიკების თეატრების საინტერესო დადგმები და ცალკეულ მსახიობთა ხელოვნება. სასიხარულოა, რომ თეატრის ცხოვრება

„მეუე ლირით“ დაიწყო

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის რობერტ სტურუას მიერ დადგმული ეს სპექტაკლი, ისევე როგორც რეჟისორის სხვა ადრინდელი ნამუშევრები მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევს თეატრალურ სამყაროში.

ქართველმა მსახიობებმა ამჯერადაც ჩვეული ოსტატობით უჩვენეს სპექტაკლი, ღირსეულად დაულოცეს გზა ახალ თეატრს და მოსკოველთა მხურვალე ოვაციებიც დაიმსახურეს.

▼ ▼

სლოვაკი პოეტის პავლეორსაგ ვეზდოსლავის სონეტებმა იმოავითვე მოხიბლეს პოეტი მორის ფოცხიშვილი. **გვეზდოსლავის ლექსები კიდევ ერთხელ მოგვაგონებენ და გვაფრთხილებენ, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა მთელი ძალები გაერთიანდეს უღრუბლო ცის შესანარჩუნებლად.**

მორის ფოცხიშვილს სახიამოვნო შეხვედრები ჰქონდა

გვეზდოსლავის სამშობლოში

და აი სასიხარულო ცნობაც: „სისხლიანი სონეტების“ თარგმანისა და იმ აქტუალური მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, რომელიც ხელს უწყობს სლოვაკიური და ქართული ლიტერატურების მეგობრობის განმტკიცებას, ქართველ პოეტს გვეზდოსლავის სახელობის პრემია მიენიჭა. ამასთან, სლოვაკმა მეგობრებმა სხვა სასიამოვნო სიურპრიზიც მოუმზადეს მორის ფოცხიშვილს: ქალაქის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით იგი არჩეულია დოლონ კუბინის საპატიო მოქალაქედ, სადაც ცხოვრობდა და ქმნიდა თავის შედევრებს გვეზდოსლავი.

სლოვაკიაში, მისი პოეზია მუდმივი თემაა მორის ფოცხიშვილისათვის. სლოვაკიაში გამოიცა მისი ორი ლექსთა კრებული და ქართულად თარგმნა სლოვაკი ლირიკოსების მრავალი ნაწარმოები.

— მომქმე ხალხის აღიარება ბევრს მავალებს, — თქვა პოეტმა, — ეს ნიშნავს, რომ უფრო მეტი უნდა გავაკეთო ჩვენი ლიტერატორების თანამეგობრობის, ორი მოძმე ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

სურათზე: მ. ფოცხიშვილი.

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილმა სიმპოზიუმმა, რომელიც მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების ინიციატივით იმართება. სიმპოზიუმი, რომლის თემაა „საბჭოთა ხალხების ლიტერატურული თანამეგობრობა“, 21 ოქტომბრამდე გასტანს.

▼ ▼

ხვალ ტრადიციული სახალხო დღესასწაულებია:

** წითელწყაროს** რაიონის სოფელ მირზაანში გაიმართება ფიროსმანობა, რომელიც გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ხსოვნას ეძღვნება.

თელავის რაიონის სოფელ წინანდალში გაიმართება ალექსანდრეობა. აქ, ჭავჭავაძეთა ნაფუძარზე, სტუმარ-მასპინძლები ერთად იზეიმებენ პოეზიის დღესასწაულს.

ბიათურაში ქალაქის მშრომელები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულზე გვიწვევენ. აქ გაიმართება სახალხო დღესასწაული „კვალი ნთელი“. გაიხსნება პრესის სახლი და განახლებული სტალინის კონსპირაციული ბინა-მუზეუმი, სოფელ თაბაგრეში კი ახალი კლუბის გახსნას იზეიმებენ ამ სოფლის მკვიდრნი.

„კომფინსტის“ საკუთარ კორესპონდენტთა მასალები რუბრიკისთვის მოამზადა მ. ანასაშვილმა.

მ. ი. ტეხოვა

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1943 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი მარიამ იორდანეს ასული **ტეხოვა.** იგი დაიბადა 1914 წელს, 1929 წელს მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ლენინგორის რაიონის სოფელ ყანჩავეთის დაწყებით სკოლაში. 1933 წელს მ. ი. ტეხოვამ დამთავრა თბილისის ცენტრალური მუშაგი და განაგრძო მასწავლებლად მუშაობა ლენინგორში. 1936 წელს მ. ი. ტეხოვა შედის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1941 წლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა ლენინგორის რაიონში თესლის საკონტროლო ლაბორატორიის გამგედ, თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსად და რაიმიწგანის გამგედ.

1947 წელს მ. ი. ტეხოვა ინიშნება ზნაურის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომად, შემდეგ აწინაურებენ სტალინირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მთავარ აგრონომად. მ. ი. ტეხოვა აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის წევრად, სსრ კავშირის მე-3 და მე-4 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის და შესანიშნავი მოქალაქის მ. ი. ტეხოვას ხსოვნა მარად დარჩება იმთა გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

გიწვევთ „პოლენა“

ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ „პოლენას“ პარფიუმერია და კოსმეტიკური ნაწარმი ჩვენში დიდად პოპულარული.

— პოლონური კოსმეტიკური ნაწარმის ექსპორტს სსრ კავშირში უკვე დიდი ხნის ისტორია და ტრადიციები აქვს. მარტო მიმდინარე წელს 62 მილიონი მანეთის ნაწარმი შემოვიტანეთ სსრ კავშირში, გაისად კი ეს ციფრი თითქმის ორჯერ გაიზრდება, — აღნიშნა პოლონეთის საგარეო ვაჭრობის საწარმოს „ციეხის“ კანტორის „ციეხ-პოლენას“ დირექტორმა ლეონარდ პოგრანიჩნიმ პრესკონფერენციაზე, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „პოლენას“ საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ნაწარმის გამოფენის გახსნას მიეძღვნა.

სტუმრებმა ილაპარაკეს ფირმის საქმიანობაზე, მიღწევებსა და საომავლო გეგმებზე.

აღსანიშნავია, რომ გამოფენის მონაწილე ვარშავის ქარხანა „პოლენა უროდას“ კონტაქტები აქვს თბილისის „თეთრონის“ საწარმოო გაერთიანებასთან. დიდი ხანი არ არის, რაც ამ ორი საწარმოს სპეციალისტები ერთობლივად ამუშავებენ ახალ შამპუნსა და საბაზანო საშუალებებს, რომლებიც უკვე გაისად გაიყიდება.

ნ. ლურსმანაშვილი.

დიდი საცხენოსნო ზეიმი

საქართველო მეცხენეობისა და ცხენოსნობის უძველესი ქვეყანაა. ძველის ფირფიტაზე შესრულებული მხედრის ეს გამოსახულება, რომელიც ისტორიკოს მეცნიერებათა დოქტორმა იულონ გაგოშიძემ გადმოგვცა და პირველად ქვეყნდება, I საუკუნით თარიღდება. იგი შარშან დედოფლის მინდორზე (ქარელის რაიონი) გათხრილ სასახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს.

ხვალ თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე იწყება ცხენოსანთა დიდი საკავშირო „შეჯიბრება. ოფიციალურად ამ დიდ ასპარეზობას „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების მხედართა საკავშირო შეჯიბრება“ ეწოდება. იგი უნიონერსალური ხასიათისაა: კლასიკურ სახეობასთან (დაბრკოლებათა გადალახვა) ერთად პროგრამაში შედის ეროვნული საცხენოსნო თამაშობანი, მრავალი ტიპის დოღები (სადა, დაბრკოლებიანი, სტიპლ-ჩეიზი), ჩორთმავალი ცხენების, სხვადასხვა ეკიპაჟთა რბოლები. ყველა რესპუბლიკას გამოჰყავს საუკეთესო ნაკრები გუნდები — სხვადასხვა ჯიშის, ასაკისა და „სპეციალობის“ რჩეული ბედაურები და თავიანთ სახეობაში დახელოვნებული ცხენოსნები. საერთო-გუნდური პირველობა არ ეწყობა. ცალკეული ასპარეზობებზე თამაშდება ავტორიტეტული პრიზები, რომელთა მოპოვებას ყოველი გუნდი, ცხენოსანი თუ საკოლმეურნეო ფერმა თავისი მრავალწლიანი მუშაობის აღიარებად, დიდ ჯილდოდ მიიჩნევს.

... წლევანდელი ასპარეზობა საოცბილეო, ოცდამეათეა. სექტემბერში, დოღის სეზონის დამთავრების შემდეგ, დროებით დაარიელებული თბილისის იპოდრომის თავლები ოქტომბრის დამდეგიდან კვლავ შეივსო... ცხენებსა და თავიანთ ადგილსამყოფელს გულდაგულ ზვერავენ შუა აზიიდან ჩამოსული მხედრები. ფარჩისდაბამბულ-ხალათიანს სადრიყულ სიდიყნარზაროვი, 72 წლის ყირგიზი, თავის 17 წლის ახალყირგიზელი ჯიშის ულაყს უქმებს ვეტერან ცხენოსანს გიორგი გამზარდიას, გახსნის ალღუმზე, პოლკოვნიკო, ჩემს ცხენზე შეჯექ, გულნაკლული არ დარჩებიო. ფსვიერ, დანამულ ასპარეზზე საბარგო ვაგონებში, ავტომობილების ძარებში დახუთულ კუნთებს ივარჯიშებენ ახალთეძერი, წმინდა სისხლის ინგლისური სადოღე ბედაურები. მცოდნე ხალხი შეუმცდარად ასახელებს მათს წარმომავლობას, საგვარტომოს. მინდორზე სტიპლ-ჩეიზის ბარიერებს ტშინაურდებიან ცხენთა გამოცდის ამ ფრთოელს სახეობაში გამობრმყდელი ცხენ-მხედრები. ჩორთმავლების სარბოლ წრეზე გამოცდილი მეეტლე მხედრები გულდაგულ ამოწმებენ რუსული სამცხენა ეტლების შეწყობილ სალას, შუა ცხენის ბარაქიან ჩორთს, ნაპირა საფერხე ბედაურების ჰაეროვან ნავარდს...

საქართველოს ნახგრძარეწვს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, თბილისის იპოდრომის დირექციას მრავალი ორგანიზაციული, სამეურნეო საკითხის მოგვარება დასჭირდათ, რათა ასეთი ხალხდა ცხენმრავალი ასპარეზობისათვის ღირსეული მასპინძლობა გაგწიათ.

ჩვენ ვესაუბრეთ იპოდრომის დირექტორს, საცხენოსნო სპორტში რესპუბლიკის საუწყებათაშორისო საკორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელს, სსრ კავშირის სპორტის ოსტატს მიხეილ ტატიშვილს:

— შარშან, როცა კრასნოდარში „ანალოგიური შეჯიბრების დამთავრებისას მორიგი ასპარეზობის ადგილი უნდა არჩეულიყო, თბილისის. იპოდრომის შესაძლებლობანი საეჭვოდ მიიჩნიეს. ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს იპოდრომს შეელახა ძველი სახელი. წლევანდელი სადოღე სეზონი, პარალელურად, ამ დიდი ღონისძიებისათვის მზადებაც იყო. გვიხარია, რომ იპოდრომის განახლებულმა სადოღე წრემ იმედი გაგვიმართლა: არ გვქონია შემთხვევა, რომ გრუნტის გამო ცხენს ტრავმა მოსვლოდეს, რაც ადრე ასე ხშირი იყო. სტიპლ-ჩეიზის ტრასა სპეციალისტებმაც მოიწონეს, ხოლო თბილისელმა მაყურებელმა თვით ამ სახეობასაც გაუგო გემო. სადღეისოდ ამ მარრბუტს ორი ახალი დაბრკოლება და ირლანდიური მიწაყრილიც დაემატა. მაყურებელთა ტრიბუნების პირდაპირ გაიმართა კონკურის მოედანი.

საქართველოს გუნდი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება: დოღებში ყულარის ცხენსაშენისა და მახარაძის საკოლმეურნეობათა შორისო საცხენოსნო ბაზის ექვსი ცხენი გამოვა. უმდიდრეს ქართულ ხალხურ თამაშობათაგან ისინდი და ცხენბურთი იქნება წარმოდგენილი (გგრისა და ცხაკაიას გუნდები). ორ წყვილ მხედარ ქალ-ვაჟს ყაზახურ თამაშიც გამოვიყენთ. სამი მხედარი გვეყოლება დაბრკოლებათა გადალახვაში. მშობლიური გუნდის ღირსების დასაცავად სსრ კავშირის ნაკრების წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ხარლამ სიმონიაც ჩამოვიდა მოსკოვიდან. მონაწილეობას მიიღებთ სტიპლ-ჩეიზის ყველა სტარტში. საორგანიზაციო კომიტეტში (ხელმძღვანელი — საქართველოს სახგრძარეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლუდვიგ ღურჭაია) ყველაფერი იღონა, რათა ჩვენი იპოდრომის სტუმრებმა მეგობრულ, სპორტულ, საზეიმო გარემოცვაში იგრძნონ თავი.

— იპოდრომზე ახლა დილიდან საღამომდე იგრძნობა ეს საზეიმო და უაღრესად საქმიანი განწყობილება.

ნ. ებრალიძე.

დრამატიზმით აღსავსე პარტია

მეორე პარტიაში კასპაროვმა ინგლისურ დასაწყისს მიმართა. ეს პოპულარული დებიუტი მეტოქეთა პირველ მატჩში გვხვდებოდა, შემდეგ კი დიდოსტატებმა თითქოს დავიწყეს იგი. დასაწყისში დაფაზე სიმშვიდე იყო, მოწინააღმდეგეები თეორიაში კარგად ცნობილ გზებს მიჰყვებოდნენ. სიწყნარე იყო დარბაზშიც, რადგან პარტიას ესწრებოდა სულ... 78 მაყურებელი. მიზეზი? სწორედ ამ დროს სვეიცარიაში მიმდინარეობდა მატჩი ევროპის პირველობაზე ესპანეთისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის...

მეცხრე სვლაზე კარპოვმა აირჩია გაგრძელება, რომლისათვის აქამდე არავის მიუმართავს. ეს კასპაროვისათვის ნამდვილი სიურპრიზი აღმოჩნდა, საპასუხო სვლაზე მან 1 საათი და 21 წუთი იფიქრა. ამის მსგავსი რამ მსოფლიო პირველობის მატჩებში არ მომხდარა. საინტერესოა, რომ ამ მომენტისათვის პრეტენდენტს სულ 20 წუთი ჰქონდა დახარჯული, მაგრამ პოზიცია ისეთი მწვავე იყო, რომ კარპოვი თანდათან „დაეწია“ მეტოქეს — მასაც შემდეგ სვლებზე ხანგრძლივად ჩაფიქრება უხდებოდა. ბოლო 20 სვლაზე კასპაროვს 13 წუთი დარჩა, კარპოვს — 23. მოახლოვდა სასტიკი ორმხრივი ციტნტი.

დაფაზე მეტად საინტერესო ამბები დატრიალდა. ჯერ ინიციატივას კარპოვი ფლობდა, შემდეგ — მსოფლიო ჩემპიონი. ერთხანს მიმომხილველებმა არცკი იცოდნენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა, შემდეგ დაასკვნეს რომ კარპოვის პოზიცია უკეთესი იყო, ერთი სიტყვით, მეორე პარტია მეტისმეტად დრამატული გამოდგა.

ერთ მომენტში, 26 სვლის შემდეგ, როცა კასპაროვს სულ ერთი წუთიღა დარჩა, მას დაავიწყდა... საათის გადართვა! მალე კი გაარკვია შეცდომა, მაგრამ პოზიცია მეტად მძიმე იყო, კარპოვმა ლაზიერითა და მხედრით თეორების მეფე საშამათო ქსელში მოაქცია.

ამრიგად, ორი პარტიის შემდეგ დაწინაურდა კარპოვი — 1,5:0,5.

მეორე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 ∂f6 2. ∂c3 e5 3. ∂f3 ∂c6 4. g3 ¿b4 5. ¿g2 0—0 6. 0—0 e4 7. ∂g5 ¿:c3 8. bc ∂e8 9. f3 e3 10. d3 d5 11. ∂b3 ∂a5 12. ∂a3 c6 13. cd cd 14. f4 ∂c6 15. ∂b1 ∂c7 16. ¿b2 ¿g4 17. c4 dc 18. ¿:f6 gf 19. ∂e4 ∂g7 20. dc ∂ad8 21. ∂b3 ∂d4 22. ∂:e3 ∂:c4 23. ∂∂h1 ∂f5 24. ∂d3 ¿:e2 25. ∂:d8 ∂:d8 26. ∂e1 ∂e8 27. ∂a5 b5 28. ∂d2 ∂d3 29. ∂b3 ¿f3 30. ¿:f3 ∂:f3+ 31. ∂∂g1 ∂:e1+ 32. ∂:e1 ∂e3 თეთრები დანებდნენ.

გუშინ მეტოქეები ისვენებდნენ. მორიგი მესამე პარტია, რომელშიც თეთრებით კარპოვი ითამაშებს, დღეისთვის არის დანიშნული.

მოკლედ

თანამედროვე ხუთჰიდი. დასავლეთ ბერლინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში შესანიშნავად ასპარეზობს თბილისელი ხუთჰიდელი ვახტანგ იაგორაშვილი. ოთხი სახეობის შემდეგ ქართველ სპორტსმენს 4352 ქულა აქვს და პირველ ადგილზეა. მას 5 ქულით ჩამორჩება უნგრელი ოლეფ დემეტერი. ჩეხოსლოვაკელი მილან ცადლეკი 4304 ქულით მესამე ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში წინ არის საბჭოთა ნაკრები — 12.676 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

მოსკოვი

16 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მხატვრული ფილმი „მინდა მოვიდეს“. 10.35 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 11.10 და 17.00 — ახალი ამბები. 17.10 — მხატვრული ფილმი „სერიოჟა“. 18.25 — გამარჯვებულნი. ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ვეტერანთა შეხვედრა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ყაზახეთის ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ტელესპექტაკლი „დეტექტივის თამაში“. 0.05 — საღამოს საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 1.20 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დღის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. II კლასი. 9.55 და 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 14.35 — ინგლისური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. მ. შოლოხოვი. „გატეხილი ყამირი“. 11.35 და 12.35 — ისტორია. VII კლასი. 12.05 — დედის სკოლა. 13.05 — მხატვრული ფილმი „თავს ზემოთ ქალაქია“. III სერია. 15.05 — ახალი ამბები. 15.10 — ი. ტურგენევი. ცხოვრება და შემოქმედება. 18.50 — ახალი ამბები. 19.00 — ფე